№ 123
შაბათი, 10 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 123
შაბათი, 10 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრ. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ნეფულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, შეორეზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
გოკიელოვი
იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ.
ფეილისის ქუჩა, ლევან ქურთაშილის სახლი, № 20.
(40—140—39)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჭსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხელმრი ფული ივლისისაგე პირველ რიცხვამდე.

პირველი პერკო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ‡ საშარდეს ავადმყოფობანი.

ძ. მ. ჩიძოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი დანერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბაქალიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჯ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი:

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

ტფილისის პერკო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ ვედენეანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდ
დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე.—ბებიის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. ჯ. ასალიშვილი, ბებიის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყველის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ ვედენეანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—უფრასა, ყელისა და ცხვრისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი—12½—1½ საათ. საღოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—საფეხელისა, ყანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—ბებიათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საფოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კროტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროტი ღარიბთათვის უფასოა.

ბაკეა, ნაგოლოროზის ქუჩა, სახლი სანანიშვილისა, № 21 (ვერანტოვის ბაღის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ ბედევანიშვილი

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჭსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხელმრი ფული ივლისისაგე პირველ რიცხვამდე.

პირველი პერკო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ‡ საშარდეს ავადმყოფობანი.

ძ. მ. ჩიძოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი დანერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბაქალიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჯ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი:

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

ფელეტონი

უცხოთა ზორის

ჩინეთი.—ჩინეთი და ევროპიელნი.—იმპერატორის სასახლე—ხსუ-ჩინგ-ჩენგი.—ქვრივი იმპერატრიცა ტსუ-ტსი.—იმპერატორი კუანგ-სუ და ცვლილებათა შემოღება.—იმპერატორის გადაყენება, იმის მომბრძოლა დასჯა და რეაქცია.—„დიდის მუშტის“ საზოგადოება.

ჯერ ინგლისს-ტრანსვაალის ომი არ გათავებულა და ევროპის ჟურნალ-გაზეთებს-კი ახალი სალაპარაკო მასალა, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკას ახალი თავ-სატეხი აღმოაჩნდა—ჩინეთი და ყველა ის, რაც ამ ბნელით მოცულს, უზარმაზარს სახელმწიფოში ხდება ამ ჟამად. ეს ერთი თვეა, რაც მთელი განათლებული ქვეყანა გაფაციცებით აღევნებს თვალ-ყურს ჩინეთის ამბებს და ყოველ დღე მოუთმენლად მოელის იქიდგან დეპეშებს. არც საკვირველია: აქამდის მშვიდობიანმა, წყნარმა და უწყინარმა ჩინელებმა, დღეს ცუდი საქმე განიზრახეს: განიზრახეს განდევნა და ამოწყვეტა ჩინეთში მყოფ ქრისტიანეთა ‡ უცხო-ქვეყნელ „ბარბაროსთა“, როგორც ისინი ევროპიელებს და საზოგადოდ არა ჩინელებს ეძახიან. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ჩინელები უკვე შეუდგნენ: როგორც დეპეშებმა გვაცნობეს, პეკინსა და სხვა ადგილებში ევრეიდ წოდებული „დიდის მუშტის“ ბრბოებმა ამოსწყვიტეს ქრისტიანეთა მრავალი ოჯახი, განადგურეს მისსიები, დახოცეს თვით მისსიონერები და სხვა ევროპიელნი. დიდმა სახელმწიფოებმა, ამ ამბებით შეფიქრიანებულთ, ერთმანეთის შურსა და ჯიბრს თავი მიანებეს და გულმოდგინედ შეუდგნენ სამხედრო გემებისა და ჯარების გზავნას ჩინეთისაკენ. ეტვი არ არის, ახლო მომავალი გაგვაგებინებს, რით გათავდება ყველა ეს, მანამდე-კი, მეტი არ იქმნება, ჩინეთსა და ჩინელებს შესახებ მოვილაპარაკოთ.

* * *

ევროპამ ჩინეთი სულ უკანასკნელ დროს გაიცნო. მანამდე-კი იგი ყველას რაღაც ზღაპრულ, არა-ჩვეულებრივ სახელმწიფოდ მიაჩნდა. იცოდნენ მხოლოდ, რომ შორს აზიაში არსებობს უზარმაზარი სახელმწიფო, მრავლისაგან-მრავალის ხალხით დასახლებული. ცოტა არ იყოს ევროპიელნი გამოურკვეველს შიშითაც კი უყურებდნენ ჩინეთს: იგი მძლავრ სახელმწიფოდ მიაჩნდათ და ეშინოდათ, რომ ამ გოლიათმა დიდის ხნის ძილისაგან არ გაიღვიძოს, არ გადმოლახოს მთა-ველნი და თავისის ლეგიონებით არ წაღიკოს მთელი ევროპაო. მაგრამ ასეთმა წარმოდგენამ დიდხანს არ გასტანა. მრეწველობა-ვაჭრობის განვითარებამ ამ საუკუნეში და ახალის ბაზრების მოპოების სურვილმა ევროპიელს შიში დაავიწყა და ჩინეთისაკენაც გადაადგმევინა ფეხი.

სამწუხაროდ, ჩინელებმა ვერაფერი სტუმართ-მასპინძლობა გაუწიეს ევროპიელთ. კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას მიჩვეულთ, იმ თავითვე მტრულის თვალით შეჰხედეს ევროპიელებს: არაფრად ეპატიჟნაკთ „გაუნათლებელ“, „ბარბაროსს“ უცხო-ქვეყნელთა შესვლა და მხლოდ მარჯვე შემოხვევას ელოდნენ უცხოელთა სრულიად განსადევნად. მაგრამ ერთხელ შესულ ევროპიელს, საუკეთესო ზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ თქვენი აზრი, რა ზომები იქმნება საჭირო, რომ ობსერვატორიის გამოცემა—ყოველთვიური სამეტეოროლოგიო ბილიუტენი, იმდენად სრულის ცნობებით იქმნეს ხოლმე შევსებული, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდესო. საბჭოს, ამას წინად განუხილავს-რა ეს საგანი, საზოგადოების წევრის ბან ზავაროვისათვის მიუნდვია მისი ვრცლად შეპუშავება. ბ-ნს ზავაროვს უკვე წარუდგენია მოხსენება საბჭოსათვის.

* * * ამა წლის 11 თებერვლის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ინჟენერ კ. ჩიკალინის თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას მიენდო პროექტის შეპუშავება გამგეობასთან წყლის მილის მმართველ განყოფილების დაარსების შესახებ. კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა და გუშინ, 9 ივნისს, ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი. ამ პროექტით კომისიას საჭიროდ დაუნახავს, რომ ქალაქის წყლის მილის მართვა-გამგეობის საქმე ერთს განსაკუთრებულს განყოფილებაში იქმნეს მოქცეული, რომლის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს ქალაქის გამგეობის რომელსამე წევრს. ამ წევრს ამისათვის მეტი ჯამაგირი დაენიშნება. წყლის მილის მართვა-გამგეობის განყოფილება უნდა შესდეს 2 ტეხნიკოსისა, საქმის მწარმოებლისა, ბუჰალტერისა, ერთის უფროსისა და 6 უმცროსის კონტროლიორებისაგან და სხვა წვრილ მოხელეთაგან. გამგეობას ამ განყოფილების შესანახად დასჭირდება სულ 38,044 მან. ე. ი. 1180 მანეთით მეტი, ვიდრე ეხლა ეხარჯება ქალაქს ამ საქმისათვის. ამ პროექტის განხილვას ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში შეუდგება.

* * * ამ წელს მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ოთხს ქართველს დაუსრულებია: ალექსანდრე ყანჩელს, ევგენი მელიქაშვილს, გაბრიელ თულაშვილსა და დავით შამირანიშვილს.

* * * გუშინ, 9 ივნისს, სიონის ტაძარში მათმა უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ალავერდისამ—კირიონმა ქალაქის სამღვდელოებასთან ერთად პანაშვიდი გარდაიხადეს ახლად გარდაცვალებულის კიევის მიტროპოლიტის იოანიკეს სულის მოსახსენებლად.

* * * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა სულ 544 კაცს დაუმთავრებია. ამათგან სულ მეტი იურიდიულს ფაკულტეტზედ ყოფილა,—301 კაცი და სულ ცოტა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსულ ენის განყოფილებაზედ, 1 კაცი, სახელდობრ აბულაძე, რომლის შესახებაც გუშინ გვქონდა ახალი ამბებში, რომ გაათავეო.

* * * როგორც „მეაბრეშუმეთ პირველ ამხანაგობის“ მეაბრეშუმეებისადმი მოწოდებიდგანა სჩანს, ამხანაგობას ამ ჟამად პარკის მიღება შეუდგეს 7 ადგილას შეუძლიან: კუხსა, ხონსა, მათხოჯსა, ქუტირ-ლანჩრსა, დიდ-ჯიხაიშსა, მაღლაკსა და ფარცხაყანდევში. გარდა ამისა, ამხანაგობას შეუძლიან ამ წელს მეაბრეშუმეთ შედარებით მეტი ფასი მისცეს პარკში.

* * * ამ წარსულ მაისის განმავლობაში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ სივნენ უზარმაზარ სახელმწიფოს, გამართეს ბანკეტი, სავაჭრო კანტორები, საწყობები, შეუდგენენ რკინის გზების გაყვანას და სხვას.

* * *

ერთად-ერთი კუთხე-ღა დარჩა, სადაც ევროპიელთ ეგრე ადვილად არ შეეძლოთ შესვლა; ეს კუთხე პეკინშია და სახელად მას „სიმპერატორო ქალაქი“ ეწოდება. ამ „ქალაქში“ მოთავსებულია მთავრობის დაწესებულებათა შენობანი, პრინცებისა და იმპერიის უმაღლეს მოხელეთა სასახლეები, ხოლო ზეგ შუაგულში—მაღალ გალავან შემოვლებული სასახლე იმპერატორისა ანუ ხსუ-ჩინგ-ჩენგი. აი ეს არის ის კუთხე, სადაც ევროპიელთათვის აგრე ძნელი და გასაპირი იყო და არის შესვლა. ძვირად თუ რომელსამე სახელმწიფოს წარმომადგენელს ეღირსება გალავნის შიგნით ყოფნა და იქ იმპერატორის ხილვა. გალავნის კარებს მხოლოდ შუალამისას აღებენ ‡ უმაღლესნი მოხელენი ‡ პრინცები მხოლოდ ამ დროს შედიან იქ და დაჩოქილნი ერთის ან ორის წუთით საქმეების გამო ესაუბრებიან იმპერა-

ახალი ამბავი

* * * სამშაბათს, 13 ივნისს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს კომისიისაგან შემუშავებულს პროექტს სამეურნეო საზოგადოებასთან სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ.

* * * ამას წინად კავკასიის საფიზიკო ობსერვატორიის გამგე შეეკითხა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ თქვენი აზრი, რა ზომები იქმნება საჭირო, რომ ობსერვატორიის გამოცემა—ყოველთვიური სამეტეოროლოგიო ბილიუტენი, იმდენად სრულის ცნობებით იქმნეს ხოლმე შევსებული, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდესო. საბჭოს, ამას წინად განუხილავს-რა ეს საგანი, საზოგადოების წევრის ბან ზავაროვისათვის მიუნდვია მისი ვრცლად შეპუშავება. ბ-ნს ზავაროვს უკვე წარუდგენია მოხსენება საბჭოსათვის.

* * * ამა წლის 11 თებერვლის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ინჟენერ კ. ჩიკალინის თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას მიენდო პროექტის შეპუშავება გამგეობასთან წყლის მილის მმართველ განყოფილების დაარსების შესახებ. კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა და გუშინ, 9 ივნისს, ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი. ამ პროექტით კომისიას საჭიროდ დაუნახავს, რომ ქალაქის წყლის მილის მართვა-გამგეობის საქმე ერთს განსაკუთრებულს განყოფილებაში იქმნეს მოქცეული, რომლის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს ქალაქის გამგეობის რომელსამე წევრს. ამ წევრს ამისათვის მეტი ჯამაგირი დაენიშნება. წყლის მილის მართვა-გამგეობის განყოფილება უნდა შესდეს 2 ტეხნიკოსისა, საქმის მწარმოებლისა, ბუჰალტერისა, ერთის უფროსისა და 6 უმცროსის კონტროლიორებისაგან და სხვა წვრილ მოხელეთაგან. გამგეობას ამ განყოფილების შესანახად დასჭირდება სულ 38,044 მან. ე. ი. 1180 მანეთით მეტი, ვიდრე ეხლა ეხარჯება ქალაქს ამ საქმისათვის. ამ პროექტის განხილვას ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში შეუდგება.

* * * ამ წელს მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ოთხს ქართველს დაუსრულებია: ალექსანდრე ყანჩელს, ევგენი მელიქაშვილს, გაბრიელ თულაშვილსა და დავით შამირანიშვილს.

* * * გუშინ, 9 ივნისს, სიონის ტაძარში მათმა უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ალავერდისამ—კირიონმა ქალაქის სამღვდელოებასთან ერთად პანაშვიდი გარდაიხადეს ახლად გარდაცვალებულის კიევის მიტროპოლიტის იოანიკეს სულის მოსახსენებლად.

* * * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა სულ 544 კაცს დაუმთავრებია. ამათგან სულ მეტი იურიდიულს ფაკულტეტზედ ყოფილა,—301 კაცი და სულ ცოტა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსულ ენის განყოფილებაზედ, 1 კაცი, სახელდობრ აბულაძე, რომლის შესახებაც გუშინ გვქონდა ახალი ამბებში, რომ გაათავეო.

* * * როგორც „მეაბრეშუმეთ პირველ ამხანაგობის“ მეაბრეშუმეებისადმი მოწოდებიდგანა სჩანს, ამხანაგობას ამ ჟამად პარკის მიღება შეუდგეს 7 ადგილას შეუძლიან: კუხსა, ხონსა, მათხოჯსა, ქუტირ-ლანჩრსა, დიდ-ჯიხაიშსა, მაღლაკსა და ფარცხაყანდევში. გარდა ამისა, ამხანაგობას შეუძლიან ამ წელს მეაბრეშუმეთ შედარებით მეტი ფასი მისცეს პარკში.

* * * ამ წარსულ მაისის განმავლობაში ქალაქის საყასბოში დაუკლავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვილი საქონელი 5,514 სული, ხბო 534, ცხვარი 15,928 სული.

⁂ 7 ივნისს სოფ. მარტყოფსა და ნორიოში სეტყვა მოსულა და მოსავლისათვის დიდი ზარალი მიუცია.

⁂ გარეთ-კახეთის სოფ. გიორგწმინდაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

⁂ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს, მისის უდიდებულესობის გოფმეისტერს ბ-ნს სტეფენს ტფილისში ამ თვის ნახევარს იქით მოელიან.

⁂ თანახმად უკანასკნელის უმაღლესის ბრძანებისა, კავკასიაში სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულის განსაწყლ.-რიგებლად წესის შემუშავებისათვის ამ ჟამად საგანგებო კომისია თურმე ადგენენ.

⁂ კავკასიაში სასოფლო-სამკურნალო ნაწილის უკეთესად მოწყობის საქმე უკვე განუხილავს კავკასიის სამკურნალო-სამმართველოსა და გარდაუწყვეტია მალე კავკასიის უმაღლეს მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად.

⁂ ტფილისის გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე გორის მაზრის დასათვალიერებლად წავიდა.

⁂ სასულიერო უწყებაში ამ ჟამად ლაპარაკი თურმეა აღძრული იმის შესახებ, რომ სასულიერო სემინარიებში სახალხო მკურნალობის სწავლება შემოიღონ იმ პირობით-კი მხოლოდ, რომ სემინარიებთან არსებულ სამაგალითო სკოლებში მოწაფეთა მეცადინეობას ხელი არ შეუშალოს და მკურნალობის მასწავლებლის დასაჯილდოებლად საშუალება ადგილობრივმა საეპარქიო სამდედ-ლოებამეც გამოსძებნოსო.

⁂ ბ-ნს ტფილისის პოლიციმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს წინადადება მიუცია ქალაქის ბოქაულებისათვის, რომ პოლიციამ თვალყური ადევნოს და მიწისა და ქვეშის ურმებით გამზიდველებს ებრძანოს ურმებს შიგნიდგან თუნუქა გაკრან უთოად და ზევიდგანაც რამ გადაფარონ, რომ ქუჩაში გამტარების დროს არ ამტვერდეს ხოლმე და საზოგადოდ ქუჩებში სისუფთავე იქმნას დაცული.

⁂ რადგანაც ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილსა და საბეითალო ნაწილს ამ ჟამად ერთი და იგივე კაცი განაგებს, რომელსაც ბეითლობა სპეციალურად არ შეუსწავლია, ამისათვის დროებით გუბერნიის მმართველს ბ-ნს სტეფანოვიჩს ქალაქის მოურავისათვის წინადადებ აწარუდგენია, სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ინსპექტორი საბეითალო ნაწილის გამგებლობიდგან გაანთავისუფლონ და ეს ნაწილი სპეციალისტს ვინმე ბეითალს ჩაბარონ. მაგრამ რადგანაც ქალაქის სარგებლობის გულისათვის განზრახულია საბეითალო-სასანიტარო ნაწილის ერთი და იგივე, ამ აზრით ქალაქის მიერ მოწვეული ბეითალი განაგებდეს, ამისათვის ბ-ნი სტეფანოვიჩი საქაროდ სთვლის ეს საგანი ქალაქის საბჭოს წარედგინოს განსახილველად.

⁂ ქალაქის საბჭოს კომისიამ, რომელსაც ქალაქის მეეტლეებისა და მეურმეების შესახებ საავალდებულო დადგენილებათა განხილვა ჰქონდა დავალებული, უკვე დაასრულა მუშაობა და ამ საგნის შესახებ მოხსენებას ამ დღეებში წარუდგენს ქალაქის საბჭოსა.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, რადგანაც ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის სოფლებში შინა-მრეწველობა არ არსებობს, ამისათვის 1901 წლისათვის განზრახულს შინა-მრეწველობის რუსეთის გამოფენაზედ მონაწილეობას მხოლოდ ქალაქის შინა-ხელოსნები და მრეწველები მიიღებენო.

ჩვენის აზრით, ეს გარემოება მცირედს შესწორებას მოითხოვს, რადგანაც შინა ხელთ-საქმე და შინა-მრეწველობა თუ ხელოსნობა სწორედ სოფლებში უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე ქალაქებში.

⁂ საგუბერნო ადმინისტრაციას შუამდგომლობა დაუწყია, რომ სოფ. გურჯაანში მდინ. წიმინის-ხევზედ ახალის ხიდის გასაბმელად 2,600 მან. და 22 კაპ. სესხი მიეცეს.

⁂ განზრახავ თურმე აქვთ, საქართველოს საექსარხოსოს ყველა მაზრაში განსაკუთრებული სამრევლო-საეკლესიო სკოლები დახსნან ქალებისათვის.

⁂ „მთავრობის კანონდებათა და განკარგულებათა უწყებ.“-ს № 59-ში დაბეჭდილია წესი იმის შესახებ, თუ უმაღლეს სასწავლებლებიდგან დათხოვნილი მოწაფეები სამხედრო მთავრობას როგორ უნდა გადაეცნენ.

⁂ საზოგადო განვითარების კურსების ლექტორთა და დამფუძნებელთა 7 ივნისის სხდომაზედ დადგენილ იქმნა, რომ დამატებითი კურსი იქმნას გახსნილი ზოგიერთ საგნიდგან ლექციების საკითხავად, მაგალითად, ფსიხოლოგიიდგან, ფილოსოფიიდგანა და სასჯულო კანონდგან. ამის შესახებ პროგრამები კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარედგინება დასამტკიცებლად ივლისის ნახევარში. დასასრულ ამავე სხდომაზედ ბ-ნთ ნოსოვიჩისა, ალიბეგოვისა და ექიმის ვესელოვზოროვისაგან კომისსია იქმნა შემდგარი, რომელსაც დავალა ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორს ბ-ნს მარკოვს სთხოვონ, შემდეგშიაც ისე თანაგრძნობით მოეპყრას ამ საქმესა და ლექციების საკითხავად გიმნაზიის შენობა დაუთმოს, როგორც წარსულს წელს.

⁂ სამრევლო-საეკლესიო მასწავლებელთა საზაფხულო კურსებზედ წელს ლექტორებად მოწვეულნი არიან: მეთვალყურე სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა ბ-ნი ტატიშვილი—საღმრთო სჯულის საკითხავად, სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე.—რუსულ-ქართულის ენისა და ანგარიშის საკითხავად, ექსარხოსის ხოროს ლოტბარი ბ-ნი ტროიკეკი —საეკლესიო-სლავიანურ გალობის მასწავლებლად, გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი დათაძე—ქართულ-კახურ საეკლესიო გალობის მასწავლებლად და მ. შარაძე იმერულ საეკლესიო გალობისათვის. სასკოლო ჰიგიენის შესახებ ოთხს ლექციას ექიმი ა. ა. პროზოროვსკი წაუკითხავს.

⁂ საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო ოლქების მზრუნველთათვის გაუგზავნია მიწერილობა, რომლითაც საშუალო სასწავლებლების პედაგოგიურმა საბჭოებმა უნდა იხელმძღვანელონ, და მასთან ერთად დამატება კატალოგისა, რომელშიაც საშუალო სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართული წიგნები და სახელმძღვანელოებია აღნიშნული“. კატალოგის დამატება 1900 წელს არის დაბეჭდილი, მაშასადამე, სრულიად ახალი წიგნები და სახელმძღვანელოებია შეტანილი.

⁂ სოფ. ქოდალო (უკანა მხარი). 29 მაისს აქაურის გლეხნი ისაგორა მოსულიყვნენდის ღარან ქოხს დაკვა მეხი და მოდგან გადასწვა, ერთის სკვერის მეტი ვეღარა გადარჩენენ რა, ტანსასმელი რა არის, ისიც-კი ვერ მოეწერა და ტატკვნი გამოსულიყვნენ. საწყალს ჯერ-ჯერობით ნათხოვრები ეტვინთ. იმედია ადგილობრივი მეცოვრენი უკეთესი თანაგრძნობით მოეკურობიან და, რათაც შეუძლეთ, ხელს გეუმართვენ,

⁂. ალექსეევის ქუჩის შესახვევში, 7 ივნისს, ღამის 10 საათზედ, თვისს საკუთარს სახლში 55 წლის მ—ვი მკვდარი ჰპოვეს. მ—ვს ტყვია აქვს მოხვედრილი თავში. მიკლულს მ—ვს ხელში რევოლვერი თურმე ეჭირა.

⁂. 8 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ბაგრატიონთა ქუჩაზედ, კოკეცოვის სახლში, უსუფთაობის ორმოს ამოწმენდის დროს, სპარსეთის ქვეშევრდომი ტაგი ბაგი-ოღლი ორმოში დაიჩრა მავნე სუნისა გამო. მკვდარი მიჩეკილს სავადმყოფოში წაიღეს შესამოწმებლად.

⁂. 6 ივნისს, საღამოთი, არღუთინსკის ქუჩის შესახვევში ტფილისის მცხოვრები, 60 წლის გრიგოლ ტარაზარიევი უეცრად გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც მიწას ეხადებოდა.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქოდალო (უკანა მხარი). მახლობელ სოფელ ზაარში სუდიმოფენობის ორშაბათს იყვა დღეობა „უსანეფობაბ“, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი ესწრება ხოლმე ყველა მხრიდგან. შესანიშნავია ეს დღეობა უფრო იმითი, რომ დიდი ბაზრობა კეთდებოდა ხოლმე. იმისთვის აგრეთვე ზედობა ადგილობრივ თავადაზნაურთა მეთაურობითა, და ბევრი თავმომწონე ბაღი გამოსცდილ ხოლმე თავისს ძალ-ღონე-ხერხს თვისს მეტოქეებთან. იმისთვისაც აგრეთვე ტხრების ჯირითი, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე განდგენს, რადგანაც ამ ჯირითმა რამდენიმე კაცი და ტხენი ამოსხეკრეს. ახალი ეკეკლესია შეა სოფელსია აშენებული, მხოლოდ დასათავებელია. გარშემო მშვენიერი ფართო მინდორი სწორედ ამკობს ეკეკლესიის მდებარეობას. წელსაც ჩვეულებრივ დიდ-ძალი ხალხი დასწერა, ბაზრობაც დიდი იყო, ზედობაც მრავალი, ქეიფს რადა თქმა უნდა! მაგრამ რამდენიმე ჩხუბი მაინც მოხდა წარსულ წელებთან შედარებით, მაინც მშვიდობიანად ჩაიარა დღეობამ და სადამოს 5 საათზედ მთლად დაიშალა ხალხი.

საყურადღებოა აქაც მოვახსენოთ, რომ ადგილობრივის თავადის მეუდელ იყოდა რაკიდენის ასეულმა ვეღალაშვიდისამ ითაკ და დასამთავრებელ ეკეკლესიის სასარგებლოდ თეფშთი ხელში თავისს მეუდლის შემწეობით დამსწრე სახოგადოებაში აკრეფა 36 მანეთი და 14 კაპ.—რისთვისაც დიდის მადლობას დიდსა ვარაბ.

დღეობამ-კი მშვიდობიანთ ჩაიარა, მაგრამ ანდაზისა არ იყოს: „წაკედ დღე და არა ფაფერაკეთ“, ს. ქოდალოში ერთი ფარიან სამეწუხარო ამბავი მოხდა ამ სადამოსაკენ. უსანეფობიდგან შინ დაბრუნებულმა შეძლებულმა ოჯახის შეიდმა, სოფელში მატეზეკმელმა ეკლესმა, 40 წლის მეტრო ისაგნაშვილმა, როგორც ნაქეფარმა, შინ მომავლობის დროს, ტხენი თავისს ქვისლისგან თურმე მაპარუნა, რომლის სახლიდგანაც სამეღერ მოისმოდა. ტხენი დერეფენში დაპაა, თითონ ქვისლის სოსიკო ზარაქაშვილის სახლში შეეფა. შინ დაჭეზეა ქვისლი თავისის ცოლი, მამასახლისი წეკლობა ხარაზიშვილი და ეკეკლი სოსიკო ეკეფიკაშვილი, რომლებიც ეახშმობდენ. მისეა სადამი ეკეკლეს ეა გამოსცდეს ეარეთ შინ წასასვლელად (სახლის მატრონეს დაეთხოვნა, რადგასაც, როგორც ამბობენ, უსიამოვნება თურმე ეჭმნდათ ერთმანეთში). ტოტა ხანი ეგეფა და, სუფეფდროდ, ისაგანაშვილი ხელასლად მაბრუნდა ქვისლის სახლში. რა მოეფსდთ და როგორ, ჯერ არ იცეან, მაგრამ საბარალო ისაგანაშვილი საშინლად ნაცემი გამოიეეკენეს სახლიდგან, ასე რომ ეერ ეფდებოდ, ეერც დგებოდა, ეერც წეკებოდა; ის ამოდენა ზარაბა კაცი ერთაეად ხელით ეკნერათ. ეს მოხდა 29 მაისს სადამოთი და მეორე დღეს 30 შუადამისს დიდის

ტორს. მზის ამოსვლამდე კარები უეჭველად იკეტება და ამის შემდეგ არც ერთს კაცს აღარ შეუძლიან იქ შესვლა. არავინ არ იცის, რა ხდება გალავანს შიგნით და როგორი ცხოვრებაა იქ. თვით იმპერატორი მხოლოდ წელიწადში ერთხელ გამოდის სასახლიდგან და მიდის ბეკინის მთავარ-ტაძარში მსხვერპლის შესაწირავად.

არც ერთს ხელმწიფეს დედამიწაზედ არა აქვს იმდენი სახელ-წოდება, რამდენიც ჩინეთის იმპერატორსა აქვს. ეძახიან იმპერატორს „უაგუსტოვს შვილს ზეცისას“, „უწმიდეს მეუფეს“, „ათი-ათასის წლის მეუფეს“ და მრავალ სხვა სახელს. მაგრამ ამ სახელ-წოდებათა შორის ყველაზედ ზედ-გამაჭრელი „ავა-კეფინაა“ ე. ი. მარტო-ხელი მეფე. მართლაც და არც ერთი სხვა მეფე არ არის ისე კარ-ჩაკეტილი, მარტო-ხელი და მთელს ქვეყანას მოწყვეტილი, როგორც ჩინეთის იმპერატორი. იგი 400,000,000 კაცის მბრძანებელად ითვლება, ნამდვილადკი იმის უფლებაც არა აქვს ის გაეკეთოს, რაც თვითონა ჰსურს. ფაქტური მბრძანებელი და ბატონი ჩინეთისა ამ ჟამად ქვრივი იმპერატრიცაა, უკვე მოხუცებული, 64 წლის დედაკაცი. ყველასათვის აშკარაა ეხლა, რომ სწორეთ ეს მოხუცებული დედაკაცი დღევანდელის საქმეების ავან-ჩავანი, ხალხის ამაღელვებელი ევროპელთა წინააღმდეგ და ევროპელთა ჩინეთიდგან განდევნის გულითა და სულით მოსურნე.

* *

დღევანდელი იმპერატრიცა ტსუ-ტსი იმპერატორის მახლობელი ნათესავიც-კი არ არის. იგი ქვრივია იმპერატორის ხსიენ-ფუნგისა, რომელიც 1860 წელს გარდაიცვალა. როგორც ყველა სხვა აღმოსავლეთის მეფეს, ჩინეთის იმპერატორებსაც რამდენიმე ცოლი ჰყავთ ხოლმე, ამათში კანონიერ ცოლად მხოლოდ პირველი ითვლება და ტახტის მემკვიდრედაც იმისი შვილი ინიშნება. რადგანაც ხსიენ-ფუნგს პირველის ცოლისაგან შვილი არა ჰყვანდა, მემკვიდრედ დანიშნულ იქმნა 6 წლის შვილი მეორე ცოლის ტსუ-ტსისი. სიკვდილის წინ ხსიენ-ფუნგმა მემკვიდრეს სრულ წლოვანობამდე მზრუნველები დაუნიშნა.

არ გასულა ორი თუ სამი თვე ხსიენ-ფუნგის გარდაცვალებიდგან, რომ, ახალგაზდა იმპერატორის ტუნგ-ჩის დედის ტსუ-ტსის მეცადინეობით, პრინცმა კუნგმა (ხსიენ-ფუნგის ძმამ) მბრუნველნი დაიპატიმრა და ზოგი მათგანი ჩამოარჩო, ზოგი კიდეც განდევნა პეკინიდგან. აი ამ დღიდგან იწყება ბატონობა ტსუ-ტსისა; იმპერატორის სრულ წლოვანობამდე სამეფოს იგი მართოდ-მართო და სხვის დაუკითხავად განაგებდა. მაგრამ ბატონობასა და ბრძანებლობას ერთხელვე მიჩვეულმა იმპერატრიცამ, არც იმპერატორის სრულ-წლოვანების შემდეგ განება მართვა-გ-მგეობას თავი.

1872 წელს იმპერატორმა ტუნგ-ჩიმ ცოლი შეირთო, ხოლო 1875 წელს სრულიად მოულოდნელად გამოცხადებულ იქმნა, რომ იმპერატორი გარდაიცვალა. ამბობდნენ, რომ დედამ მოწამლა ახალგაზდა იმპერატორი. იმავე 1875 წელს ქვრივმა იმპერატრიცამ იმპერატორად პრინცის ჩუნგის (განსვენებულის იმპერატორის ხსიენ-ფუნგის ძმის) 4 წლის შვილი, აწინდელი იმპერატორი კუანგ-სუ, გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი—მზრუნველად და სამეფოს გამგედ.

ამ რიგად დღევანდელი იმპერატორი მხოლოდ მაზლის წულია ქვრივის იმპერატრიცასი. მცირე წლოვანის იმპერატორად დანიშნით ტსუ-ტსიმ რამდენიმე წლით კიდეც იგდო მართვა-გამგეობა ხელთ. ამისთან თავისს ბატონობის დასამკვიდრებლად, ქვრივი იმპერატრიცა არაფერს არ ერიდებოდა: სიკვდილით სჯიდა წინააღმდეგ მოხელეებს, სამუდამოდ ამწყდებოდა იმ პრინცებს, რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებდნენ და სხ.

სტორიაშიაც-კი ორი-სამი მაგალითი ძლივს მოიპოვება ისეთის მტარვალის მბრძანებელისა, როგორიც ეს დედაკაცია.

ასე მიდიოდა საქმეები 1889 წლის შემდეგაც-კი, როდესაც იმპერატორი სრულ-წლოვანად იქმნა გამოცხადებული. იმპერატორის არსებობა არც-კი ვინმემ უწყოდა, იმის ყურადღებას არავინ აქცევდა და არავინ არაფერსა ჰკითხავდა.

* * *

ამასობაში ჩინეთ-იაპონიის ომმაც მოაღწია. ეს ომი ქვრივ იმპერატრიცას მიერ იქმნა გამოწვეული. როგორც ვუწყით, ჩინეთი სამარცხვინოდ დამარცხდა: ორის თუ სამის კვირის განმავლობაში იაპონიამ მიწასთან გაასწორა მთელი ფლოტი ჩინეთისა. ახალგაზდა ტუკე-იმპერატორის მომხრეთ ამ ომის წყალობით პირველად გაჰპეტეს ხმა ამ ოდენა იმპერატრიცას წინააღმდეგ. განსდა იმპერიტორის მომხრე დასი და ამ დასმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა იმპერატრიცას და იმის მოიხრეებს. იმპერატორის მხარეს იდგნენ საუკეთესო მოწინავე კაცნი ჩინეთისა, ევროპის კულტურით აღტაცებული და მოსაუნენი ევროპის განათლებისა და წეს-წყობილების შემოღებისა, იმპერატრიცას მხარეს-კი—რეაქციონერნი, ძველის ტრადიციების მომხრენი და ევროპის მოძულენი.

ერთ-ხანად იმპერატორმა, და იმის მომხრეებმა გაიმარ[illegible] ... ევ-

ტრჯოს შემდეგ სულიც დადა. ადგილობრივ ბოკალდამ მაზრის უფროსს ანცობა, რომელმაც გამოგზავნა გამომძიებელი დასაბუგოვი და ექიმი ნაუმენკო; ესენი მოვიდნენ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, გასწრეს საცოდავის გვამი და შეამოწმეს. ესენ გამომძიებმა ადმილაზენის ნამდვილის მეკვლეს უბედურებისს. ჯერ ჯერობით კი ეჭვი, რასაკვირველია, სოსიკო ზარიკაშვილსა და მისს სახლში მეოფ ხალხს მიტანილი. როგორც ექიმის გასინჯვამდე დამტკიცდ და განსვენებულმაც სთქვა, წასდა ისე მაგრათ თოფს ნაფეთი მეცეფლში, რომ ნაწილები ორ ადგილს ჭმონია ჩაგლეფილი.

ლაპის პირელი.

რუსეთი

—

განსაკუთრებული კომისია, ეგეთ სახინისტრის წარმომადგენელთაგან შემდგარი, ამ ყამად სატელეფონო კანონებს ამდგენს. სახელმწიფო საბჭო ამ კანონებს ამ წლის აგვისტოს დამდეგს განიხილავს.

— შეიძლება განა, რომ თავად-აზნაურობის წინამძღოლი თეთო ალრ თავადი იყოს და ალრ აზნაურიც ეი ასეთი უტნაური ამბავი სწერია ვნდა რუსეთის გაზეთებში: უმაღლესელის სენატის ჭრილდის დეპარტამენტს არ დაუმტკიცებია აზნაურად აღიტელი მაჭმადანი, მაიორი ბეგთემირ ბბდურმანჩეოკი. ამისობაში ბბდურმანჩეოკი ეკვე ემესი წელიწადია ოლტის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ბრძანდება. მაზეზი მისის ალრეკანის ისა ყოფილა, რომ ხალხს ჭკონია, ეთიტრის ხარისხი შთამომავლობით აზნაურობის ანიჭებს მის მეკონეკელსა, თუმცა-კი შთამომავლობით აზნაური ხდება მხოლოდ მოდგოკონეკის ხარისხის მქონე; დანარჩენი სამხედრო წოდებისა-კი, პრაპორშჩიკიდგან დაწყებული ზედ-ზედ-გენერალამდე, მხოლოდ პირადის აზნაურის დარსებით ხარკეკლობენ. ბბდურმანჩეოკის ხალმე მათ უფრო ანცალეს, რომ, კანონის ძალით, ესენ ეხმს წელიწადს მაინც უმსახურია თავად-აზნაურობის წინამძღოლად, უფლებაქმს ნაკეკი ბოლოწელობა მიიღოს თავად-აზნაურთა ალრეკანებში, თუნდ

ქონებრივი ცენზიც ალრ მოეთხოვოდეს, მარტო იმის გამო, რომ ერთსულ წინამძღოლად ეოფილ ლა. ამ საქმეში, როგორც ჭნდავთ, შეერთებულა შეფერთებული გარემოებანი: მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თეთო აზნაური არ ალის.

—ტყრიდის სეკუნერნიო ერობის შუამდგომლობისა გამო სასჯელი საქმეთა სამინისტროს ერთი საკურადღებო საკანი განუხილავს. რაკი გამომძიების ქეეშე მეოფ ტუსაღებს, რომელნიც ეჭვის გამო ალიან დაპატიმრებული, ჩვენების ჩამოსართმევად გამომძიებელთან დასტატმრებული მიჰყავთ, ამიტომ ტყვრიდის ერობამ ალრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რომ დანაშაულში ეჭვ-მიტანილ ტუსაღებს გამომძიებლებმა თეთო საპატიმროშეკე ჩამოართვენ ჩვენება, იმ შემთხვევითა კარდა, როდესაც საქმის წარმოება ბრალდებულის გამომძიებელთან მეკანონეს საჭიროდა ჭნდასი. ამის შესახებ სამინისტრომ უპასუხა ერობას, რომ ჯერ კიდევ მე 70 წლების დამდეგს განკარგულება იყო მოსდენილი, რომ უბრალო-ბრალდებულ ტუსაღებს ნუ დაბარებენ გამომძიებლები თავისთან, ჩვენება საპატიმროებში ჩამოართვან და ამითვე გამოუტესდონ საკამომძიებლო საბუთის ქაღალდები. ამიტომ ეს განკარგულება მე-70 წლებისა ეხლ კეკლე გამოეტესდებით ტყვრიდის გამომძიებლებთან. რაკა თქმა უნდა, რომ სამინისტროს ეს სამა ნთდეანი განკარგულება შეეხება არა მარტო ტყვრიდის გუბერნიას, არამედ რუსეთის ეეკლა ადგილებს, სადაც-კი ზემოდ აღწერილთანა ამბავი ხდება.

უცხოეთი

—

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც უკანასკნელად გამოქვეყნებულ ოფიციალურ ტელეგრამებიდგანა სჩანს, ბრძოლის დასაწყებიდგან დღემდე ინგლისელებმა დაჭკარეს სულ 24,000 კაცი. აქედგან ბურებმა ზოგი მოჭკალეს, ზოგი დასჭრეს და ზოგიც ტყვედ წაიყვანეს. ამას თუ ამ 8,840 კაცსაც მიუტანთ, რომელიც მოაკლესამ ინგლისში კაჭკაზანს, რადგან დიდას ხნის შამიდობითა და გაჭირვებით დასუსტებული ბრძოლა თავი ალრა ჭკონდათ, მაშინ ზემოხსენებული რიცხვი 32,000 კაცამდე ავა. ამ ბოლოს დროს ეკვალზედ მეტად სხვა-და-სხვა გაბედვები ავდმყოფობა ალდებს ინგლისელებს ჯარის-კაცებს. 14 დღის განმავლობაში 3 ივნისამდე, მაკალითად, ბრძოლაში მოკლულ იქმნა სულ 174 ოფიცერი და ჯარის კაცი, ხოდო ავადმყოფობისაგან ამაკე ხნის განმავლობაში 558 კაცი გარდაიცვალა.

— როგორც კრიუეგრის მიერ 10 ივნისს (27 მაისს) გამოქვეყნებულ ბიულეტენიდგანა სჩანს, 7 ივნისს ოთხ რაზმად გაყოფილმა ბურებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ინგლისელებს რადგანაღლთანა და მდინარე რენსტრთან. ბრძოლას რამდენიმე საათი გასტანა თურმე. მოუკლეკენ და დაუჭრიათ ბურებს 200 ინგლისელი და 700 კაციც ტყვედ წაუყვანიათ. ამ ბრძოლის შემდეგ ინგლისელები უკან დასულან; ბურები დასდევნებიან, გაბედულ ეკლიზედ დაფეფყოთ ბრძოლა და მეოთი დერბიშირის რაზმი წაუყვანათ ტყვედ. ამ ბრძოლაში მოკლულთა შორის ეოფილა ერთი ბოლოეოფიცერი, რამდენიმე კაპიტანი და ბორეოფიცერი.

ინგლისი. ამ ბოლოს დროს ინგლისელებმა გაზეთებმა ხმა გაკვრეულეს, რომ სამეფოდრო მინისტრი ლორდი ლანსდოუნი თანამდებობას თავს ანებებსო. ლანსდოუნის მოადგილედ ორ კაცს ასახელებენ: სამხრეთ-ოფრიკაში მეოფ ჯარის მთავარ-სარდალს ლორდ რობერტსა და ახალ-ზელანა მინისტრს ჩეშბერლენს. ბეკრი გაზეთი ეფორა საუბარკეთად ჩეშბერლენის მინისტრობასა, რადგანაც ეს კაცი ჯარს საშინაო პოლიტიკას ბარეულ საკენად გაბედაქცევს და სხვა ეფორა საჭარ-ბორტლა საქმეებს დაბრდილავსო.

ბელგია. კარ. „Times“-ის უკანასკნელ ნომერში აწერილია ბარეული შეტაკება ჩინელებისა და სასელმწიფოთა შეერთებულ ჯარისა. ეს ბრძოლა მეკანონეთესო გაზეთის „ჩინეთის პროგრესი“. ეევი არ არის, ერთხელვე ამ გზაზედ დამდგარი ჩინეთი, უკან აღარ დაიხევდა და ძველ ცხოვრებას აღარ დაეშურენდებოდა, რომ ახალგაზდა იმპერატორისა და იმის განათლებულ მომხრეთა დაწყებულებას არ გადაჭრიბებოდა ოგივ იმპერატრიცა, ეს ბორორტა-ინგელოზი ჩინეთისა.

იმ დროს, როდესაც იმპერატორი ჩინეთის განახლებას შეუდგა, არც ქვრივი იმპერატრიცა იყდა გულ-ხელ დაკრეფილი. ამ მოხერხებულმა დედაკაცმა მალე შემოიკრიბა გარს მოხუცებული მანდარინები, ძველის ტრადიციების მომხრენი და ახალის მოძულენი. მათ ჯარის წინამძღოლნიც მოისყიდეს და ერთ მშვენიერ დღეს, სახელდობრ 1898 წელს 22 სექტემბერს, ჩინეთის იმპერატორი ტახტიდგან გადაადგენეს, და მბრძანებლად ისევ იმპერატრიცა შეიქმნა.

იმპერატორის მომხრეთაგან მხოლოდ კან-იუ-ვეიმ და ორმა სამმა სხვამ ეაისწრო გაქცევა, დანარჩენნი პეკინის მოედანზედ საჯაროდ ჩამოაღრჩეს. ყველანი მამაცად და უშიშრად

ეოფილა გაკვრეული იყო ჩინეთიდგან მოსულის ამბებით: ისე დღე არ გავიდოდა, რომ იმპერატორს ბრძანება არ გაეცა ამა თუ იმ ცვლილების მოსახდენად; იმის განკარგულებით, დაარსეს პეკინში უნივერსიტეტი, შეიმუშავეს პროექტი საშუალო და დაბალ სასწავლებლებისა, შეუდგნენ ევროპიელ ენებიდგან წიგნებისა და სახელმძღვანელოების თარგმნას, დაარსდა ორმოცზედ მეტი ახალი გაზეთი, ევროპის კულტურის მქადაგებელი და ევროპიელ ცხოვრების გამამეცნელელი, გაჰგავნეს ყმაწვილი კაცები ევროპაში განათლების მისაღებად; ერთის სიტყვით, ჩინეთი გამოღვიძების გზას დაადგა და იაპონიასავით ევროპის კულტურის შეთვისებას შეუდგა. უბრალელესი მრჩეველი და მარჯვენა ხელი იმპერატორისა ყველა ამ საქმეში კან-იუ-ვეი იყო, 40 წლის კაცი, დიდად განათლებული და ნიჭიერი მოღვაწე ჩინეთისა. ნაკლებ სამსახურს ჩინეთს არც კან-იუ-ვეის მოსწავლე უწევდა, პირველი რედაქტორ-გამომცემელი ახლად-დაარსებულის საუკეთესო გაზეთის „ჩინეთის პროგრესისა“. ეევი არ არის, ერთხელვე ამ გზაზედ დამდგარი ჩინეთი, უკან აღარ დაიხევდა და ძველ ცხოვრებას აღარ დაუშურენდებოდა, რომ ახალგაზდა იმპერატორისა და იმის განათლებულ მომხრეთა დაწყებულებას არ გადაჭრიბებოდა ოგივ იმპერატრიცა, ეს ბორორტა-ინგელოზი ჩინეთისა.

ეს ორი წელიწადია, იმპერატორი ველარაფერს საქმეში ველარ ერევა. იმპერატრიცამ, როგორც ამბობენ, იმის მოკვლა-კი განიზრახა. მეკითხველებს ეხსომებათ უთუოდ ამ რამდენისამე თვის წინად ჩინეთიდგან გამოგზავნილი დეპეშა, იმპერატორი გარდაიცვალაო. ამბობენ, რომ იმპერატრიცამ ჯერ ეს ხმა გავიცელა, შემდეგ მართლაც მოინდომა იმის მოკვლა, მაგრამ ინგლისის ელჩმა ერერგიულის ნოტით აცნობა დედოფალს, რომ იმპერატორის გარდაცვალებას ცუდი შედეგი მოჰყვება ჩინეთისათვისაო, და „გარდაცვლილი“ იმპერატორი ხელად გაცოცხლდა.

* * *

ქვრივი იმპერატრიცა მარტო იმპერატორის გადაყენებას და იმის მომხრეთა დასჯას არ დასჯერდა. მან ჩინეთიდგან ევროპიელების განდევნაც განიზრახა. უკვე გამოიკვა, რომ „დიდის მუშტის“ სექტა, რომელის ბრძონიც ეკრე უწყალოდ ჰხოცავენ ქრისტიანებსა და დედოფალებს, თვით იმპერატრიცისა და იმის მომხრეთა წაქეზებულია. აქამდის თუ იმათ წინააღმდეგ ჯარსა ჰგზავნიდა ჩინეთის მთავრობა, ეს მხოლოდ ევროპიელთა თვალის ასახვევად და მოსატყუებლად.

„დიდის მუშტის“ საზოგადოება დღესა და გუშინ არ დაარსდა; იგი ისევე ძველია, როგორც თვით ჩინეთი. რამდენიმე საუკუნე იქმნება, რაც ეს საზოგადოება არსებობს.

„დიდ მუშტს“ უწინ სახელიც და საგანიც სულ სხვა ჰქონდა. ეს საზოგადოება პირველად დაარსდა იმ აზრით, რომ აწინდელი სამეფო გვარეულობა ვაედევნა ჩინეთიდგან და იმის მაგიერ სხვა გაემეფებინა. თავთავრობა საშინლად სდევნიდა ამ სექტის მომხრეებს, მაგრამ ისინი აღმოიჩინდათ ქალის მიერ კაცის ტანისამოსის ჩაცმა. მალე ქალი სამართალში მისცეს. სასამართლოში ქალმა განაცხადა, რომ მეცნიერების შესწავლის სურვილმა ჩამაგონინა ასეთი დანაშაულია. მოსამართლეებს არა სჯეროდათ ესა და მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ ქალის სიტყვების სიმართლეში, როდესაც რეტორომ და ამხანაგებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ქალი საუკეთესო ყოფა-ქცევისაა და სამაგალითოდ სწავლა-ბდომ. ამიტომ მოსამართლენი სასტიკად არ მოეკენენ და მხოლოდ მონასტერში გაგზავნა გადაუწყვიტეს. იქ ქალი ჯერ სკოლაში ბავშვებს ასწავლიდა, შემდეგ-კი აბატესად იქმნა დანიშნული.

* * *

ამ ორის თუ სამის წლის წინად ერთმა იტალელმა მენტონში საუკეთესო სასტუმროს გვერდზედ ერთი ნახევრად დაკცეული სახლი იყიდა. დაიბინა მუშები და ვითომ სახლის შეკეთებას შეუდგა: დღე-ღამე ამ სახლიდგან კაკუნი და ბრახუნი მოისმოდა. მოთმინებიდგან გამოსულმა სასტუმროს სტუმრებმა, სასტუმროს პატრონს გამოუცხადეს, თუ ამ კაკუნსა და ხმაურობას არ ჩაანურეს, სხვაგან გადავალთო. სასტუმროს პატრონი ნება-უნებურად დაჰმორჩილდა ამ მოთხოვნილებას და იტალიელთან კაცი მიჰგზავნა. მაგრამ იტალიელმა ერთი-ორად უფრო მოუმატა ხმაურობას, ბოლოს სასტუმროს პატრონი იძულებელი გახდა მეტად დიდ ფასად ეყიდნა ნახევრად დანგრეული და დაკცეული სახლი. იტალიელი სხვა სასტუმროსთან გადავიდა, შეიძინა იქაც ასეთივე სახლი და შეუდგა კაკუნს. ამ სასტუმროს პატრონმაც მხოლოდ დიდის ფულის შემწეობით მოიშორა თავიდგან მოუსვენარი იტალიელი. იგი ახლა მესამე სასტუმროსთან გადავიდა, შემდეგ მეოთხესთან, მეხუთესთან. ამბობენ, ამ ნაირის ხერხით იტალიელმა დიდი ფული შეიძინანო. დღესაც ეს იტალიელი მენტონშია თურმე და იქაურმა სასტუმროს პატრონებმა აღარ იციან, როგორ და რა ნაირად მოიშორონ იგი თავიდგან.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საააგენტოსაგან)

8 ივნისი.

ტოკიო. შანხაიში მყოფი იაპონიის კონსული იუწყება, რომ სეიმური პეკინში მისულა. სადიპლომატო კორპუსი უფნებლად არის დარჩენილი. როგორც ჩიფუდგან მოსულ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, ტიან-ძინში მცხოვრებ უცხოელთა სახლები 5 ივნის სრულიად გადაეწვეთამ.

ბერლინი. კრეისერი „გეფიონი“ ფხვრა მაინც ვერ მოახერხა. საზოგადოება მალ-მალ სახლეს იცვლიდა და ერთის პროვინციიდგან მეორეში გადადიოდა. ამ საუკუნეში სექტამ პოლიტიკას სრულიად მიანება თავი და იმის მაგიერ სხეულის ვარჯიშობასა და გიმნასტიკას შეუდგა, ასე რომ იგი უფნებელ საზოგადოებად გარდაიქცა.

ევროპიელების დევნას „დიდის მუშტის“ მომხრენი სულ ბოლოს დროს შეუდგნენ. ამბობენ, ამის მიზეზიც იმპერატრიცაოო: მან სარეკლარებით და დაპირებებით წაიქეზა ამ საზოგადოების უფრო გავლენიანი წევრნი და ევროპიელთა წინააღმდეგ აამხედრაო. დღეს „დიდის მუშტის“ დეკვიზს „შორს ჩენგან უცხო-ქვეყნელნი!“ შეადგენს.

უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში საოცარის სისწრაფით გავრცელდა ეს სექტა: იმის მომხრედ ამ ჟამად 11 მილიონამდე კაცი ითვლება.

ი. ა—ძე

ჩიფუს მივიდა და აქედგან ტაკუს წავიდა.

ᲮᲐᲜᲓᲚᲐᲠᲣᲘᲢᲘ. ბულლერმა მთავარი ბინა ფოლკსრუსტის ჩრდილოეთით, სადგურ ხანდლპრუიტზედ ორის მილის მოშორებით, დიდვა. ბანაკი რკინის გზის დასავლეთ მხარეს არის დაცემული. ამ ოლქში ინგლისელებს 187 ბური დაჰმორჩილდა.

ᲒᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ. როგორც კანტონიდგან მოსული ცნობებიდგანა სჩანს, თანახმად უცხო სახელმწიფოთა კონსულების განცხადებისა, ლიხუჩინგს გარდაუწყვეტია კანტონში დარჩეს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 27 ივნისს ორი ჯარით სავსე გემი წავა ჩინეთში. იმპერატორმა ბრძანება გასცა პეიონერთა ნახევარი როტა იქმნას გაგზავნილი.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. გამოცხადებულ იქმნა, რომ მადრიდის ოლქში საკონსტიტუციო შეღავათი გაუქმებულია, რადგანაც ვიპრებმა გადასახადის გაღებაზედ უარი სთქვეს.

ᲞᲠᲝᲢᲝᲠᲘᲐ. ბოტას ჯარებთან ბრძოლა ხუთის დღით შეწყვეტილია. ამ ვადის შემდეგ რობერტსი ძალიან მხნედ ებრძვის მოქმედებას.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. ჩიფუში მდგომი ინგლისის ხომალდი იუწყება, რომ სეიმუმურის ჯარების შესახებ აგერ ექსი დღეა აღარა ისმის რაო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ბერლინის რამდენსამე გაზეთში რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის გრაფის მურავიოვის სიკვდილისა გამო თანაგრძნობის წერილები დაბეჭდილი.

ᲙᲐᲡᲢᲔᲚᲐᲛᲐᲠᲘ. აქ მყოფი ინგლისის კრეისერი ჩინეთს წავიდა.

ᲝᲜᲙᲐᲒᲐᲒᲐ. რუსეთის გემმა „რიურიკმა“ აქ იაპონის ახალი ელჩი ჩამოიყვანა და თითონ ტაკუს მიდის.

როგორც ისმის, დაპრილი უცხო სახელმწიფოთა ფიცრები და ჯარის კაცები, რიცხვით ას კაცამდე, იაპონიის გემით საზღვარ სადგურს სასეხოში მიუყვანიათ, სადაც ახლა იაპონიის წითელი ჯვრის საზოგადოება თურმე სწამლობს.

ᲒᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ. ინგლისის სამხედრო ხომალდები ბუზუნში დგანან. აქედგან ჩინეთის სიმაგრეებს დაუწყებენ ზარბაზნის სროლასა და ეცდებიან ჩინეთის გემები ჩაიგდონ ხელთ.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. იაპონიის ოფიციალურ ცნობებით, ტაკუზედ იერიშის მიტანის დროს იაპონელებს ათი კაცი დაუკარგავთ მოკლული, მათ შორის ჯარის უფროსი ხატტორიც ყოფილა.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. ჩრდილო-დასავლეთ შანდუანის მისსიონერები ყველა საგანგებოდ ამისთვის დაქირავებულს გემში სხედან და ყვითელი წყლის შესართავში დგანან.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. სეიმურის უფროსობით უცხო სახელმწიფოთა ჯარებმა, როგორც იყო, გზაში მრავალ გზის ჩინელებთან შეტაკების შემდეგ, პეკინამდის მიაღწია.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. როგორც ტიან-ძინიდგან მოსულ ცნობიდგანა სჩანს, „დიდი მუშტი“ იქაური უცხოელთ თავს დაჰსხმია, მაგრამ რკინის გზის დასაცველად აქ მდგომმა რუსის ათასმა ჯარის-კაცმა მოიგერია.

როდესაც ტაკუს ზარბაზნები დაუშინეს, პირველი სიმაგრე იაპონელებმა აიღეს, მეორე ინგლისელებმა. გერმანისა და რუსეთის ჯარებმა სამხრეთით მდებარე სიმაგრე აიღეს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ- იაპონის სამი სამხედრო ხომალდი ტაკუში წავიდა, ორმა სხვამაც მიიღო ბრძანება, წავიდნენ.

9 ივნისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი, რომლითაც სამთო ინჟინერს იოსსას, ნაბრძანები აქვს ყოფნა სამთო დეპარტამენტის დირექტორად, ხოლო ნოვ-გოროდის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თავად ვასილჩიკოვს—პსკოვის გუბერნატორად.

ᲙᲘᲔᲕᲘ. 9 ივნისს მიტროპოლიტის გვამი გოლოსეევის უდაბნოდგან კიევო პეჩიორის ლავრაში იქმნა გადატანილი.

ᲤᲣᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ. რესპუბლიკელთა პროგრამმა საპრეზიდენტო არჩევანებისა საეროდ ჰხადის, რომ ამიერიდგან განსაზღვრული იყოს უცხოქვეყნელთა ამერიკაში დასახლება, იგი ქება-დიდებას უძღვნის მაკ-კინლეის, რომ მან შეერთებულ შტატებს არცერთ სახელმწიფოსთან დაკავშირება არ მოახვია თავს, და გამოსთქვამს მხურვალე სურვილს ამერიკის ერისას, რომ ჩრდილოეთით ამტყდარი ბრძოლა ჩქარა დაბოლოვდეს, რაიცა ერთ გვარად სასახელო იქნება როგორც ინგლისისა, ისე ამერიკის რესპუბლიკებისათვისა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პალატა. დელეასემ განაცხადა,— დეპეშა მივიღე, რომ საელჩონი და უცხო-ქვეყნელნი პეკინში უვნებელად არიან. ფრანსუას დეპეშაც მიღებულია და იგი იუწყება, რომ ჩინეთის მოხელეები უკვე მიხვდნენ, რა მოვალეობაც აძევთო, იქნება ფრანსუამ მოაბერხოს იქიდგან წამოსვლა. დეპეშას იმითი ათავებს ფრანსუა, რომ იწერება ეხლა უეჭვოდ უკეთესი მდგომარეობა ჰსუფევსო.

ტაკუდგან იუწყებიან, რომ მეშვიდე დღე-ღამეა, რაც არავითარი ცნობა არ მოსულა სეიმურის შესახებ; მეხუთე დღე-ღამეა ცნობა არა გვაქვსრა ტიან-ძინიდგან. მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარს ტაკუს და ტანგკუს ციხე-სიმაგრენი უჭირავთ. საკმაო ძალა ექნება თუ არა, ეს ჯარი ტიან-ძინს წავა ევროპიელთა საშველადაო.

ᲢᲐᲙᲣ. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ტიან-ძინთან ბრძოლა ჯერ არ არის შეწყვეტილიო. ინგლისელთა ჯარი 3,000 ულრის. დღეს ადმირალებმა და გემის უფროსმა ოფიცრებმა გარდაწყვეტეს შემდეგის შინაარსის მოწოდება გამოსცენ: „ვაუწყებთ ყველა ევიეე-კოროლს და ადგილთევე მოხელეებს ჩინეთისას, რომ ჩვენ აზრადა გვაქვს იარაღი ვიხმაროთ მხოლოდ „დიდის მუშტისა“ და იმით წინააღმდეგ, ვინც წინ გადაგვეღობება და ხელს შეგვიშლიხ პეკინში მივიდეთ ჩვენთა თანამემამულეთა გამოსახსნელადაო“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სამხედრო ხომალდებს „ირის“-სა და „დიდო“-ს ებრძანათ ჩინეთს წავიდნენ.

ᲢᲐᲑᲐᲜᲠᲝᲒᲘ. ხალხის მატარებლების ბაქანზედ მივიდა კონდუქტორების მმართველი არენდტთან სამსახურიდგან დათხოვნილი ჩურსინი და სთხოვა, ჩემი საბუთის ქაღალდი მოგეგზავნა და იმისთვის ბეგეჩენებანა საქმე. ამ დაბრკოლის შემდეგ მე ს. ალისში წავედი (ექვსი ვერსის მანძილზეა) და ვამე გვიან დაბრუნდი სახლში. ამ ჩემის შინ არ ყოფნით თურმე ისარგებლეს, მიადგნენ ქურდულად ისევ ამავე აზნაურების წინამძღოლობით რამდენიმე ბლეხი და ჩემგან ჩასამული მარგალები დაიძარეს. ეი ნამდვილი საქმის გარემოება. ახლა ჭკითხეთ ამ ვიღაცა „დამსწრეს“: ვისთან უნდა მომხდარიყო სასაღლის ფერა, ვის ებრძოდნენ, ან ვინ იყო მოწინააღმდეგე, რაც ჩემს გაუგებრადა და ქურდულად მარგალები დაიძარეს? მეორეც, ნუ თუ თითოეულ ეკეთი ეკეთი ეარმოადგენს კომლზედ ეკეს? მაგრამ რა? ალბად ბინა „დამსწრე“ თავისსა ამ საქმეებში დამსწრეობამ წასახლისა და ერთ მარადალთან ათი და ოცი ტუფილი ეთქმეკინა, რად კი, ეგ მხოლოდ თითონ მას ეტყდანეს. ვის ეკუთვნის მამული, ან ან ვისა ჭქონდა ნება მარგალების დამძრობისა, ამას სამართალი ეთქოთ, და, ამეფია, გამარჯვებულად მეომართ და თითონ „დამსწრესაც“ დარსეულად დაბეჭდეთ.

ალ. დეკანოზიშვილი

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

როგორც მოსალოდნელი იყო, „ცვალის“ რედაქციის წარმომადგენელმა ბ-ნმა ნ. ყორდანიამ, ჩემგან „ივერიის“ მე-115 №-ში მოთავსებული წერილის პასუხსა, სიმორცოლის გამორკვევის მაგიერ, „ცვალის“ მე-28 №-ში ჩვეულებურ, მისგან კარგად შეთვისებულ ლიტერატურულ „ხრიკობა“-ს *) მიჰმართა და ისევ მე მომაბეგა თავზედ დანაშაული.

რადგანაც დაჯარწმუნეი, რომ გაზეთის შემწეობით გამოლაპარაკებით ჩვენ შორის საქმეარ გარიგდება: პასუხის პასუხები არას დროს არ დაილეგა, ამიტომ ერთი საშველება უნდა ვიხმაროთ სიმართლის გამოსარკვევად: ვადაეცეთ ეს საქმე საამბანაგო სამსჯავროს, რომლის განაჩენს ორივენი უნდა დაეთანხმოთ; მე ჩემის მხრით ვნიშნავ მსაჯულებად ბ-ნი იაკობ სოლომონის ძეს ღულაძეს და ვარლამ ბიბინაძეს. განგებ ვნიშნავ ჩვენ საერთო ნაცნობთ შორის ისეთ კაცებს, რომელთაც სრულიად „ობიეკტიური“, მიუდგომელი მსჯელობა შეუძლიათ იქონიონ ჩემ შესახებ და თანაც სხვა ჩემ ამბანაგებთან შედარებით ჩემზედ უფრო შირი დაახლოვებული მსელელობა და ნაცნობობა აქვთ ბ-ნ ნიე ყორდანიასთან; იმედი მაქვს, ამ ნაირადვე მოიქეცეი ბ-ნი ყორდანიაც და თავისს მხრივ დაჰნიშნავს ორ კაცს, იმათ თავ-მეკლიმაარე უნდა ამოირჩიონ და შეეერთებულ სჯიი გადაწყვეტონ: ვინ არის მართალი, ან მტყუანი ჩვენ შორის. საამბანაგო სამსჯავრომ უნდა განაჩინოს შემდეგი კითხვა: ჰქონდა თუ არა, ბ-ნ ნიე ყორდანიას, როგორც „ცვალის“ ფაქტიურ რედაქტორს, ზნეობრივი უფლება იმ საეკვო, გამოურკვეელ და მეორე მასალის შემწეობით, რომლებიც მას მოეპოვებოდა, ისე გარდაწყვეტოთ, დაბეჯითებით ელაპარაკა ჩემ სახოგადო მოქმედების მიმართულების ხასიათის შესახებ, როგორც მოხსენებული იყო „ცვალის“ მე 21-№-ში—№-31, (1 აგვისტო 1899 Წ.) № 34 (22 აგვისტო), № 41. ამ კითხვის გამოსარკვევად საჭირო იქნება წაკითხვა ზემო აღნიშნულის „ცვალის“ ნომრების გარდა, „ივერიის“ № 174 (ჩემი წერილი) და 17 სექტემბრის ვ. კანდელაკის წერილი. ამ საამბანაგო სამსჯავროს განაჩენი უნდა გამოცხადებულ იქმნას ყველა ჩვენებურ გაზეთებში. დარწმენებული ვარ ასეთ „კულტურულ“, საპატიო, უთანხმოების გასასწორებლად ყველასგან საუკეთესო საშველადად ცნობილ სამსჯავროს არც ერთი პატიოსანი, რიგიანი ადამიანი არ გიეკეცევა.

ნიკო თავდგირიძე

*) „ივერიის“ მე-115 №-ში მოყვანილი მაქვს „ცნობის ფურცლის“ 13 და 14 მაისის ნომრებიდგან ზოგიერთი ადგილები: ის სიტყვები, რომლებიც პირდაპირ შეეხებოდა ჩემთვის გამოსარკვევ საგანს, ფრჩხილებში მქონდა მოხსენებული, ის ადგილები-კი, რომლებიც ფრაკეი იყო, ჩემს სიტყვით მაქვს მოყვანილი დაახლოვებულ შინაარსის გადმოცემით. რადგანაც „ივერია“-ში ყველა „ცნობის ფურცლიდგან“ მოყვანილი ამბავი წვრილის ასოებით იყო დაბეჭდილი, ბ-ნ ყორდანიამ ამით ისარგებლა და პირ-აქეთ დაგვწამა სიტყვების გადამახინჯების ბრალი. ამასა ჰქვია ჩვენებურად „ხრიკება“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲫᲐᲕᲘᲡ-ᲥᲕᲘᲡ ᲛᲬᲧᲠᲗᲛᲭᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝ

აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვინც განცხადება შეიტანეს და ითხოვეს, ეროთურის სადგურზედ ბაქანი დაგვითმეთ შავი-ქვის საწყობადაო, რომ თანახმად მე-4 §-სა შავ.ს-ქვისათვის საწყობ სადგომებისა და ვაგონების განაწილების შესახების დროებით წესებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ცირკულიარით შემოღებული 18 მარტს 1900 წელს, მათ უნდა კავკასიის სამთო გამგეობისაგან წარმოადგინონ მოწმობანი იმისა, რომ ქვა-მდნების დამუშავების უფლება აქვთ, ამასთან აღნიშნონ რაოდენობა დამუშავებულ ქვისა (ეს რაოდენობა 30,000 ფუთზედ ნაკლები არ უნდა იყოს), ან სამრეწველო მოწმობა პირველის ხარისხისა. ეს მოწმობანი უნდა წარედგინოს შავის-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს ან ვაგონებისა და ბაქანების გამნაწილებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამა წლის ᲐᲠᲐ ᲣᲒᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ

15 ივნისისა.

ამასთან კრების საბჭო წინდა-წინვე აცხადებს, რომ იმათი განცხადებანი, ვინც ზემოდ დასახელებულ მოწმობებს არ წარმოადგენს, სულ არ იქმნება განხილული. (3—5.—2)

ᲗᲕᲘᲗ-ᲛᲝᲥᲠᲐᲕᲘ ᲔᲚᲔᲕᲐᲢᲝᲠᲘ ᲮᲐᲜ-ᲐᲒᲝᲕᲘᲡᲐ.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ ააქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—9)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **ᲣᲪᲒᲓᲐᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐ** ფასი: ყდით 20 კაპ., უყოთ 15 კ.

ბ) **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲛᲔ-X** საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара,** ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи,** ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви,** ფ. 40 კ.

(20—Უ.—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Іюня 1900 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ